ცაგერის რაიონული სასამართლო

მისამართი: ქ. ცაგერი, ლ. ასათიანის ქუჩა N14; საფ/ინდექსი: 5100; ელ/მის: bvirsaladze@cours.ge;
ტელ: (+995 472)221312;

საქმე №3/1-21 14/06/2021 წ

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ცაგერი, რუსთაველის ქუჩა N58

შესასრულებლად გეგზავნებათ ცაგერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 ივნისის განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე N3/1-21 ადმინისტრაციულ საქმეზე (მოსარჩელე გრიშა ხაბულიანი, ლევან ხაბულიანი, მოპასუხე სსიპ დევნილთა ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო)

პატივისცემით,
ცაგერის რაიონული სასამართლოს
მოსამართლის თანაშემწე

/ ბექა ვირსალაძე/

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
შემოსვლის № 732

საქმე № (3/1-21)

6824504856193

www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ

10 ივნისი, 2021 წელი ქ. ცაგერი

ცაგერის რაიონული სასამართლო
მოსამართლე - ნანა ჯანხოთელი
სხდომის მდივანი-ბექა ვირსალაძე

მოსარჩელეები - გრიშა ხაბულიანი, ლევან ხაბულიანი
წარმომადგენელი-ლეილა გურგუჩიანი

მოპასუხე- სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

წარმომადგენელი- ეკატერინე ქანტარია

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია

წარმომადგენელი-შორენა დვალი

დავის საგანი-ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა

განხილვის ფორმა - სასამართლომ მოსამზადებელ სხდომაზე განიხილა სათანადო ორგანოდან **მტკიცებულებათა გამოთხოვის საკითხი** და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ცაგერის რაიონული სასამართლოს წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული საქმე გრიშა ხაბულიანისა და ლევან ხაბულიანის სარჩელის გამო, მოპასუხეების; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, სადაც დავის საგანს წარმოადგენს: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას

დაქვემდებარებულ ოჯახთა(ეკომიგრანტთა) განცხადების არდაკმაყოფილების თაობაზე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის15 დეკემბრის N03-3093/ო ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის N21 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა გრიშა ხაბულიანისა და ლევან ხაბულიანის საკითხის გადაწყვეტის ნაწილში, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის მოსარჩელეების გრიშა ხაბულიანისა და ლევან ხაბულიანის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ აქტის გამოცემის დავალდებულება და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დავალდებულება მოსარჩელეთა ფაქტიური მდგომარეობის შესაბამისად დასკვნის შედგენისა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში წარდგენის თაობაზე.

2021 წლის 10 ივნისს საქმის მოსამზადებელ სხდომაზე ცაგერის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მოსარჩელე გრიშა და ლევან ხაბულიანების წარმომადგენელმა, ლეილა გურგუჩიანმა, რომელმაც ითხოვა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისაგან გამოთხოვილი იქნეს გრიშა ხაბულიანის განცხადებასთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საქმის მასალები.

სასამართლომ გაეცნო მხარის შუამდგომლობას და თვლის რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–4 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად, გამოთხოვილ წერილობით მტკიცებულებებს ფიზიკური და იურიდიული პირები გადაუგზავნიან სასამართლოს დადგენილ ვადაში. თუ მათ არ შეუძლიათ ამ ვადაში წარადგინონ მტკიცებულებები, ისინი ვალდებულნი არიან აცნობონ სასამართლოს ამის შესახებ მიზეზების მითითებით. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ამ ნაწილით გათვალისწინებულ პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა მტკიცებულებათა წარმოსადგენად. შეუტყობინებლობისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ სასამართლოს მოთხოვნა არასაპატიო მიზეზით არ შესრულდება, სასამართლო მოქალაქეს ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ანდა შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 150 (ასორმოცდაათი) ლარით. დაჯარიმება არ ათავისუფლებს შესაბამის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის მოვალეობისაგან. წერილობითი მტკიცებულებების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს შესაბამის პირს პირველი ჯარიმის სამმაგი ოდენობით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოსათხოვი დოკუმენტაცია ცაგერის რაიონულ სასამართლოში გრიშა ხაბულიანისა და ლევან ხაბულიანის სარჩელთან დაკავშირებით განსახილველ საქმეზე დართვა, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, შესაძლოა მნიშვნელოვანი გახდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე–4 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-105-ე, 215--ე, 284-285-ე, 414-ემუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1.გრიშა და ლევან ხაბულიანების წარმომადგენლის, ლეილა გურგუჩიანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისაგან გამოთხოვილი იქნეს გრიშა ხაბულიანის განცხადებასთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საქმის მასალები.

3. განჩინება ცალკე არ გასაჩივრდება

მოსამართლე: **ხელმოწერილია** ნანა ჯანხოთელი
ასლი სწორია დედანთან
მოსამართლის თანაშემწე

/ ბექა ვირსალაძე /